**ელენე ჩხეიძე**

**PR და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა**
**კავკასიის მედიის სკოლა**
**SMK გამოყენებით მეცნიერებათა კოლეჯი, ლიეტუვა**

Erasmus+-ის პროგრამის ფარგლებში გასული სემესტრი ვილნიუსში, ლიეტუვაში გავატარე. კერძოდ SMK College of Applied Sciences-ში, და თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ამ გამოცდილებამ  სრულიად შეცვალა ჩემი წარმოდგენა განათლებასა და ცხოვრებაზე.

დამხვდა მრავალფეროვანი  სასწავლო გარემო, სადაც ლექციები არ იყო მხოლოდ თეორიული. ისინი ეფუძნებოდა ინოვაციურ მიდგომებს, გუნდურ პროექტებზე მუშაობასა და რეალურ გამოწვევებს. ეს მეთოდები მაძლევდა საშუალებას ვყოფილიყავი შემოქმედებითი, აქტიური და ამავდროულად პრაქტიკაში გამომეყენებინა აქამდე კავკასიის უნივერსიტეტში დაგროვილი ცოდნაც, რამაც ძალიან გაამდიდრა სასწავლო პროცესი.

ვილნიუსი კი ამ ყველაფრისთვის იდეალური ქალაქი იყო. ენერგიული და ცოცხალი გარემო ყოველდღე გთავაზობდა ახალ შთაბეჭდილებებს.  ისტორიული ძველი ქუჩები, თანამედროვე კულტურა, ფესტივალები და კონცერტები, რომლებიც სტუდენტურ ცხოვრებას კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდიდა.

თუმცა, ყველაზე ღირებული მაინც ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც ეს ხუთი თვე დაუვიწყარი გახადეს. შევიძინე მეგობრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებმაც შეცვალეს ჩემი ხედვა სამყაროსადმი და ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდნენ.  მათთან ერთად გატარებული დღეები მუდმივად მემახსოვრება.

Erasmus+ არ არის მხოლოდ გაცვლითი პროგრამა - ეს რეალობაა, რომელიც  გვაქცევს ახალ ადამიანად. ამ პერიოდში გავიზარდე როგორც აკადემიურად, ისე პიროვნულად და მივიღე ბევრად მეტი, ვიდრე უბრალოდ განათლება. ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც აქვს მონაწილეობის საშუალება, ვურჩევ აუცილებლად გამოიყენოს ეს შანსი.